ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ 2014-2017 წწ. ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

იხილეთ დანართი: 74 (სამოცდათოთხმეტი) ფურცლად

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი ი. მაკასარაშვილი ია მაკასარაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 75 ფურცელი

№10/9667 10 ოქტომბერი 2017

ჩემი ინიციატივით და შუამდგომლობებით ვარკეთილში მოეწყო სკვერები, სტადიონები, გ[illegible], მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ყველა საკითხი, რომელიც გამოდიოდა საკრებულოს სხდომაზე და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ 2014-2017 წწ. ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

იხილეთ დანართი: 74 (სამოცდათოთხმეტი) ფურცლად

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი ია მაკასარაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცელთა რაოდენობა 75 ფურცელი

N 10/9667 10 ოქტომბერი 2014

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვარკეთილი-3 მაჟორიტარის დეპუტატის
ია მაკასარაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2014-2017 წწ.

პირველ რიგში მადლობას მოვახსენებ ჩემს პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც საშუალება მომცა ჩემი წვლილი შემეტანა თვითმმართველობის განვითარებაში და მეზრუნა ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. ასევე მადლობას ვუხდი ვარკეთილი 3 -ში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთანაც მუშაობამ მომცა უდიდესი გამოცდილება, ჩემი შემდგომი საქმიანობისათვის თვითმმართველობის მიმართულებით. ჩვენ მართლაც ერთად ვზრუნავდით პრობლემების მოსაგვარებლად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვარკეთილი 3-ის მაჟორიტარის ბიურომ 2014 წლიდან დღემდე მიიღო10000 -მდე მოქალაქე. ამ ხნის მანძილზე ბიურო ჩართული იყო ქალაქისა და კონკრეტულად, ვარკეთილელების წინაშე არსებული პრობლემატიკის გადაჭრის პროცესში. პარალელურად ვაწყობდით შეხვედრებს ადგილებზე და მონიტორინგს ვუწევდით ჩვენი ინიციატივით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობას. ბიურო, როგორც აქტიურად მომუშავე რგოლი, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების არაერთგვაროვანი ხასიათის წერილებზე და პრობლემებზე მყისიერად რეაგირებდა.

2014 წლიდან დღემდე რამდენჯერმე შევხვდი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს, პრობლემების უკეთ გაცნობისა და მომავალი წლის ბიუჯეტის უკეთ დაგეგმვის მიზნით.

ამჟამად, ბიუროში 2014წლიდან დღემდე შემოსულია 2003 წერილობითი განცხადება ,ხოლო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სხვადსხავა ინსტანციებში 1963 წერილია გაგზავნილი. ბიუროს შუამდგომლობით გაეწია დახმარება:

მედიკამენტების შესაძენად 498 მოქალაქეს;

სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდა 208 მოქალაქეს;

ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო304 მოქალაქემ;

შეშით დახმარება გაეწია 64 ოჯახს;

არაერთმა მოქალაქემ მიიღო უფასო სასადილოებით სარგებლობის უფლება;

რეკომენდაცია გაეწია 163 მოქალაქეს მათი დასაქმების მიზნით.

ჩემი ინიციატივით და შუამდგომლობებით ვარკეთილში მოეწყო სკვერები, სტადიონები, გზები, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ყველა საკითხი, რომელიც გამოდიოდა საკრებულოს სხდომაზე და ვეთანხმებოდი, ემსახურებოდა ქალაქისა და მოსახლეობის ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ ჩემი აქტიური შუამდგომლობებით და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მეშვეობით, გამაგრდა IIIა მ/რ-ის N 330,329,324,341,344; მე-2მ/რ N16, 19 და I მ/რ კ.3 და 24-ე კორპუსები , რის გამოც მოსახლეობა გამოთქვამს კმაყოფილებას.

ასევე ჩვენი ინიციატივით და ქალაქ თბილისის მერიის დახმარებით სუხიშვილისა და ჯავახეთის ქუჩების კვეთაზე დაიდგა შუქნიშანი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უსაფრთხო მოძრაობას.

ჩემი ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებებით ვარკეთილი 3-ში სამ ქუჩას დაერქვა: რწმენის , ნაზი შამანაურის და იოთამ ზედგინიძის სახელი.

ასევე ინიციატივა მივაწოდე მერიის კულტურის სამსახურს, რათა მოსახლეობისგანაც მიეღოთ წინადადებები ქალაქის კულტურული ღონისძიებებში ჩართულობისა და უკეთ დაგეგმვის მიზნით.

ასევე საძირკველი ჩავუყარეთ ვარკეთილი -3 მე-4 მ/რ წმ.ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

ჩვენი ორგანიზებით და საქველმოქმედო ფონდის „სავსე გულით" მხარდაჭერით ჩავატარეთ სოციალური აქცია, რომლის ფარგლებში ვარკეთილში მცხოვრები სოც. დაუცველი და პატიმრების ოჯახების შვილები, 30 ბავშვი ერთი დღით დავასვენეთ „ჯინო ფერედაის"-ში.

სარიტუალო ხარჯები გავწიეთ და პატივი მივაგეთ ორ გარდაცვალებულ ცოლ-ქმარს,რომელთაც არ ჰქონდათ რეგისტრაცია თბილისში.

ჩვენი ხარჯებით ვარკეთილი-3, მე-4 მ/რ-ში მცხოვრებ შშმ პირს, ციცო გარსევანიშვილს გადავეცით ეტლი.

ასევე ხშირად ვეხმარებოდით და სასაჩუქრე ნობათებს გადავცემდით ვარკეთილში მცხოვრებ სოც. დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს.

ჩვენი ინიციატივით და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რამდენჯერმე უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა ვარკეთილში მცხოვრებ სოც.დაუცველ მოქალაქეებს.

აღსანიშნავია ასევე, რომ სატრანსპორტო სამსახურის დახმარებით ვარკეთილი-3 -ში დავდგით რამდენიმე მოსაცდელი.

ხშირი კონტაქტი გვქონდა ოლქში მდებარე საჯარო სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან, სადაც ღონისძიებების ხშირი სტუმრები ვიყავით..აღნიშნული აქტივობა ემსახურებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში მოზარდების შემოქმედებით-ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

რამდენჯერმე მონაწილეობა მივიღეთ გამწვანებისა და დასუფთავების აქციაში, რომელიც მიზნად ისახავდა გარემოზე ზრუნვას და ამ ღონისძიებაში მოქალაქეებიც გვყავდა ჩართული.

როგორც საკრებულოს წევრი ვესწრებოდი საკრებულოს და კომისიის ყველა სხდომებს .

განათლებისა და კულტურის კომისია 2014-17 წ.
კომისიის სხდომები, განხილული საკთხები.

წევრი - ია მაკასარაშვილი

2014 წ.

2014 წელს ესწრებოდა 20 სხდომას, განიხილა 48 საკთხი:

1. 25 ივლისი
   დღის წესრიგი
   - „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს მიმდინარე წლის 7 მარტის #5-5 გადაწყვეტილების 21-ე მუხლის საფუძველზე, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ განსახორციელებელი პროექტები და ინფორმაცია ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი"ს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (08/8802, 21/07/2014 და 08/9001; 22/07/2014).

2. 4 აგვისტო
   დღის წესრიგი
   ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლებისა და კულტურის, სახელდებისა და სიმბოლიკის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.
   დღის წესრიგი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

3. 21 აგვისტო
   დღის წესრიგი
   1. თბილისის ბაგა-ბაღებთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვა; თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის, ბატონ თემურ თორდინავას მოსმენა. მოწვეული სტუმრები - სკოლამდელი აღზრდის თემაზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;
   2. კომისიის სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის დაწყება ექსპერტთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით; კომისიასთან სათათბიროს შექმნის საკითხი;
   3. ილიას დღესთან დაკავშირებით შემოსული პროექტ-ინიციატივის განხილვა; პროექტის ავტორი ბაჩანა ფილაური;

4. 27 აგვისტო
   დღის წესრიგი -
   a(a)ip "Tbilisis kulturuli RonisZiebebis centris mier warmodgenili informacia: Teatraluri proeqtebis ganmxilveli sarekomendacio sabWos mier SerCeuli, mowonebuli da gansaxorcielebeli proeqtebis Sesaxeb (#08/9913); sagamomcemlo proeqtebis ganmxilveli sarekomendacio sabWos mier SerCeuli gansaxorcielebeli proeqtebis Sesaxeb (#9636) (kulturis RonisZiebebi – kodi 8.5)

5. 15 სექტემბერი

   დღის წესრიგი

   1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა;
   2. ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (#08/10270); (კულტურის ღონისძიებები – კოდი 8.5);

6. 19 სექტემბერი

   დღის წესრიგი

   1.ქალაქ თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის და მისი ფილიალების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა;

   2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადების (#11615; 08.09.2014წ.) განხილვა.

7. 22 სექტემბერი

   დღის წესრიგი

   1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნის შესახებ;
   2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში შემოსული განცხადების (#12188 16.09.2014) განხილვა ქართველი ფეხბურთელის სერგო კოტრიკაძის მემორიალური დაფის შექმნისა და განთავსების შესახებ;
   3. ავარიული 56–ე საბავშვო ბაგა–ბაღის გამაგრება და კაპიტალური რემონტი;
   4. ააიპ საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის ფუნქციების განხორციელება 2014 წლის 31 დეკემბრამდე;
   5. პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "იავნანას" აქცია – ლეგენდარული ქორეოგრაფის მორის ბეჟარის საბალეტო დასის "ბეჟარის ბალეტი ლოზანაში" საქველმოქმედო საღამო – დადგმა "ბოლერო";
   6. წყნეთის #29 ხელოვნების სკოლის პედაგოგის მარინე ზალიაშვილის ქალაქ მარმარისში დაგეგმილი კლასიკური მუსიკის მესამე საერთაშორისო კონკურს–ფესტივალში "Future Stars" მონაწილეობა.

8. 7 ოქტომბერი

   დღის წესრიგი

   1. ქალაქ თბილისის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული მუზეუმების წინაშე მდგარი პრობლემები – მუზეუმების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა;
   2. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების (#07/13853; 03.10.2014წ. და #13841; 03.10.2014წ.) განხილვა.

9. 9 ოქტომბერი

   დღის წესრიგი

   ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან" არსებული საკონსულტაციო ჯგუფის მიერ განხილული და მოწონებული ღონისძიებები (#08/13890; 03.10.2014წ.)

10. 17 ოქტომბერი
დღის წესრიგი
1. სასკოლო კონკურსი – „წიგნის მეგობრები 2014“ საკრებულოს ეგიდით განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ;

2. „თბილისობა 2014“ სახალხო დღესასწაულის 35 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებები (#08/14761; 16.10.2014წ.);

3. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან“ არსებული საკონსულტაციო ჯგუფის მიერ განხილული და მოწონებული ღონისძიებები:

ა) ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება;

ბ) თბილისისა და ნანტის დაძმობილების 35 წლის იუბილეს ფარგლებში ნანტელი ხელოვანის – ჟერარ ორეის გამოფენა „მგზავრი–პეიზაჟის მატარებელი“;

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადების განხილვა (13987; 06/10/2014)

11. 24 ოქტომბერი

დღის წესრიგი

1. გელა ჩივიაშვილის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (#04/15253; 23.10.2014წ.);

2. გიორგი არეშიძის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (#04/15258; 23.10.2014წ.);

3. ია მაქაცარიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (#04/15255; 23.10.2014წ.);

4. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან“ არსებული საკონსულტაციო ჯგუფის მიერ განხილული და მოწონებული ღონისძიებები - (#08/15212; 23.10.2014წ.)

12. 30 ოქტომბერი
დღის წესრიგი
1. ქალაქ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის, ბატონი თემურ თორდინავას ანგარიშის მოსმენა.

13. 3 ნოემბერი
დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული თეატრების, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლისა და თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ–ბენდი"–ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა;
2. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა.

14. 6 ნოემბერი
დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები.

2. ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღებში ეპიდემიების პრევენციასა და კვებისა და ჰიგიენის ნორმების შესახებ მსჯელობა.

15. 14 ნოემბერი
დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის #7 ხელოვნების სკოლისთვის მოძიებული ფართის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

16. 22 ნოემბერი

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

17. 4 დეკემბერი

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ თბილისის კულტურულუ ღონისძიებების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტები;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ხელოვნების სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და სერგო ზაქარიაძის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯში გაზიფიცირებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები;
3. ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლის, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ზაჰესის #5 ხელოვნების სკოლისა და #21 ხელოვნების სკოლებისათვის სკამებისა და გამათბობლების შეძენა;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის #7 ხელოვნების სკოლაში ნისტრუმენტის განთავსებისთვის დამატებით გასატარებელი ღონისძიების თაობაზე;
5. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები;
6. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადების განხილვა.

18. 11 დეკემბერი

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტები;
2. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა.

19. 18 დეკემბერი

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

2. ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა ფულადი წახალისება;

3. #132-ე დახურული ბაღის აღდგენა და გარემონტება;

4. ქ. თბილისის თოჯინების მუზეუმისთვის, ასევე ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (ისნისა და ძველი თბილისის რაიონის ფილიალები) კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები;

5. საახალწლო ღონისძიებები;

20. 25 დეკემბერი
დღის წესრიგი
1. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ წარმოდგენილი პროექტები;

**2015 წ.**
**2015 წელს დაესწრო 36 სხდომას განიხილა 65 საკითხი:**

1. 23 იანვარი
დღის წესრიგი
1. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბ-ნ გიორგი ალიბეგაშვილის ინიციატივა - კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეთა ძეგლებისა და მემორიალური დაფების თბილისში განთავსების შესახებ;
2. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებებისა და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვა;
3. ნაძალადევის რაიონში, კიკვიძის პარკში მედიათეკის მშენებლობის შესახებ;

2. 29 იანვარი
დღის წესრიგი -
1. 2015 წლის ბიუჯეტით პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული პროექტები;

2. 2015 წლის ბიუჯეტით კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტი - ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" ფუნქციონირების ხელშეწყობა

3. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ წარმოდგენილი პროექტისა და განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადების განხილვა

3. 3 თებერვალი
დღის წესრიგი - 1. თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
2. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

4. 6 თებერვალი
დღის წესრიგი - 1. ბიულ-ბიულ ოღლის ქანდაკების (სკულპტურული პორტრეტი) თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის სკვერში განთავსების შესახებ;
2. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა;

3. საქრთველოს მცირე საოპერო თეატრის „რეგიონ-ოპერას" მიერ დაგეგმილი პროექტის - „დაისი" განხორციელების ვადის გაგრძელების შესახებ

5. 17 თებერვალი

დღის წესრიგი - 1.ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი; 2. ქ. თბილისის თოჯინების მუზეუმის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები; 3. სკოლამდელი არზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

6. 19 თებერვალი

დღის წესრიგი - ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა.

7. 24 თებერვალი
დღის წესრიგი - ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ წარმოდგენილი პროექტები

8. 6 მარტი
დღის წესრიგი - ლიტერატურული ჟურნალის „ცისკარი" გამოცემის ხელშეწყობა

9. 10 მარტი

დღის წესრიგი -1. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ წარმოდგენილი პროექტები; 2. ა(ა)იპ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის #29 ხელოვნების სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა

10. 16 მარტი

დღის წესრიგი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის), მერის მოადგილის, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსისა და ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ

11. 20 მარტი

დღის წესრიგი - 1.„100 მწერლის გაზეთი" გამოცემის ხელშეწყობა;

2. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ წარმოდგენილი პროექტები;

3. არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის მემორიალის განთავსება;

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი #1“-ის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

12. 31 მარტი

დღის წესრიგი -

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ მოსმენა;

2. ქ. თბილისის, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოსმენა;

3. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოსმენა;

4. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი პროექტები

13. 3 აპრილი

დღის წესრიგი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

14. 6 აპრილი

დღის წესრიგი -

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ;

15. 14 აპრილი

დღის წესრიგი - გარე რეკლამებსა და აბრებთან დაკავშირებული ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი მექანიზმების განხილვა

16. 17 აპრილი
დღის წესრიგი -
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სახლის დაფუძნების შესახებ;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“

17. 28 აპრილი
დღის წესრიგი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დაფუძნების შესახებ (N04/7308; 16.04.2015)

18. 7 მაისი
დღის წესრიგი -
1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირების საკითხის განხილვა;

2. ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებისა და ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხის განხილვა.

19. 14 მაისი
დღის წესრიგი -

1. სსიპ ქ. თბილისის N 77 საჯარო სკოლისა და სსიპ N 182 საჯარო სკოლების სახელდებაზე თანხმობის მიცემის შესახებ (06/4332 - 09.03.2015; 06/2909 – 16.02.2016)
2. ა(ა)იპ ვახტან ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის ინიციატივის „მუზეუმების ხეივანი"- ს განხილვა (07/8535; 06.05.2015)
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად ეკატერინე მაზმიშვილის დანიშვნის თაობაზე; (04/8549 – 06.05.2015)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.(04/8628 – 07.05.2015)

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა (07/8113; 07/8359; 07/7449)

20. 8 ივნისი

დღის წესრიგი -

1. სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური სარეკომენდაციო საბჭოს შექმნის, მისი დებულების მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე;

3. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის დახურულად გამოცხადების შესახებ

21. 29 ივნისი

დღის წესრიგი - „ქალაქ თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

22. 30 ივნისი

დღის წესრიგი -

1. სტიქიით დაზარალებულ ბავშვთა რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების შესახებ;

2. სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;

23. 9 ივლისი

დღის წესრიგი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" მოსმენა;

24. 13 ივლისი

დღის წესრიგი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ მოსმენა;

25. 31 აგვისტო
დღის წესრიგი -
1. საქართველოს სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძისათვის და საქართველოს სახალხო არტისტის, ჯუმბერ ბერაძისათვის თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე;

2. ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის #19 ხელოვნების სკოლის დირექტორის, ღირსების ორდენის კავალერის, თამაზ მოლაშვილისათვის, თბილისზე მზრუნველის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

26. 3 სექტემბერი
დღის წესრიგი -
1. ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჟიურის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

2. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა

27. 15 სექტემბერი
დღის წესრიგი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

28. 25 სექტემბერი
დღის წესრიგი - „თბილისობა 2015“-თან დაკავშირებით თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ კონკურსში „ჩემი თბილისობა“ გამარჯვებულ კონცეფციათა განხილვა

29. 2 ოქტომბერი
დღის წესრიგი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;

30. 29 ოქტომბერი
დღის წესრიგი - 1. ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 9 თვის ანგარიშის განხილვა;
ბ) ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 9 თვის ანგარიშის განხილვა.

31. 3 ნოემბერი
დღის წესრიგი - 1. ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის 9 თვის ანგარიშის განხილვა;
ბ) ა(ა)იპ თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის 9 თვის ანგარიშის განხილვა.

32. 13 ნოემბერი
დღის წესრიგი -
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის "სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა ღირსეული დასაქმებისთვის" (კოდი 7.5.3.) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სტუდნტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის N23-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

33. 19 ნოემბერი 12 სთ.
დღის წესრიგი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის "სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა ღირსეული დასაქმებისთვის" (კოდი 7.5.3.) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სტუდნტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე;

34. 19 ნოემბერი 15. სთ
დღის წესრიგი - 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზწე ირაკლი გვილავას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნოდარ ჭიჭინაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე

ნინო სულხანიშვილისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის დანიშვნაზე თნხმობის მიცემის შესახებ (#04/20968; 18.11.2015)

35. 26 დეკემბერი
დღის წსრიგი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა ( N 04/22339; 10.12.2015).

36. 29 დეკემბერი
დღის წესრიგი -
1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (N 04/23465, 24.12.2015);
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (N 04/23465, 24.12.2015)

2016 წ.
2016 წელს დაესწრო 18 სხდომას, განიხილა 29 საკითხი:

1. 15. იანვარი
დღის წესრიგი - „ქ .თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნაზეთანხმობის მიცემის შესახებ" (N 04/669) საკითხის განხილვა

2. 11 თებერვალი
დღის წესრიგი - ავადობის პრევენცია და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამა ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში.

3. 19 თებერვალი
დღის წესრიგი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი-თბილისის თანამედროვე ბალეტის" დაფუძნების შესახებ.

4. 26 თებერვალი
დღის წესრიგი - 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებუ;ოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (#04/3283); 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული

საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნატო ქიტიაშვილის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ. (საკრებულოს N 04/3557 25.02.2016 მერიის N 6/4381 25.02.2016

5. 29 მარტი
დღის წესრიგი - 1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ჩართულობა თბილისის ბაგა-ბაღების მონიტორინგის პროცესში. 2. სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ (04/21965); 3. სსიპ ქ. თბილისის N16 საჯარო სკოლისთვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (06/3254);

6. 15 აპრილი
დღის წესრიგი - 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (#04/6855);
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. (04/3827)
3. ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის", ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურუ სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის, ა(ა)იპ ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ.თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ.თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმის და ა(ა)იპ „ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმის" რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ მუზეუმიების გაერთიანების" შექმნის თაობაზე თანხმონის მიცემის შესახებ (04/6857);

7. 13 მაისი
დღის წესრიგი - 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დიმიტრი ორმოცაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (04/8555;6.05.2016). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კახაბერ გვანცელაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (04/8555; 6.05.2016). 2. „ქ.თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „ თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N 11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „ქ.თბილისში ლიტერატურისადა ხელოვნების კონკურსი „თბილისი" ჩატარებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N 128 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ.

8. 18 მაისი
დღის წესრიგი - 1. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

9. 9 ივნისი
დღის წესრიგი - 1. „ საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და

მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (04/10212) 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

10. 21 ივნისი
დღის წესრიგი - 1. მახათას მთის მიმდებარედ არსებული პანთეონისთვის „ახალი პანთეონის" სახელის მინიჭების საკითხის განხილვა (04/11164; 20.06.2016);
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშის განხილვა.

11. 24 ივნისი
დღის წესრიგი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/11111; 17.06.2016).

12. 22 ივლისი
დღის წესრიგი - 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხი"(04/12991) 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/13372) 3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გაათლების , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ანხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"(04/9479)

13. 2 აგვისტო
დღის წესრიგი -
1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ტბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/14139)
2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ ნატო ქიტიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ირაკლი ხუცურაულის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი უკლებას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; (04/14141);
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის

დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/14140).

14. 22 სექტემბერი
დღის წესრიგი - სსიპ ქ. თბილისის N 113 საჯარო სკოლისთვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების შესახებ (06/8086)

15. 21 ოქტომბერი
დღის წესრიგი - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიში 2016 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

16. 8 ნოემბერი
დღის წესრიგი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/18754; 04.11.2016)

17. 18 ნოემბრი
დღის წესრიგი - 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (#04/19055;15.11.2016);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის ღონისძიებების ცენტრის" (ს/კ 404906170) ლიკვიდაციის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (04/19195; 17.11.2016)

18. 15 დეკემბერი
დღის წესრიგი - 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#04/20047; 09.12.2016)

2017 წ.
2017 წელს დაესწრო 11 სხდომას, განიხილა 16 საკითხი:

1. 20 იანვარი
   დღის წესრიგი
   1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ხელოვნების სკოლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

2 23 იანვარი

დღის წესრიგი - 1. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის განხილვა 2016 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

3 . 23 თებერვალი

დღის წესრიგი - 1. სსიპ ქალაქ თბილისის 9 საჯარო სკოლისათვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭების თაობაზე (#06/298. 11.01.2017).

2. • „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ"

• „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (#04/2262; 17.02.2016).

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/2339; 21.02.2017).

4. 23 მარტი

დღის წესრიგი

1. ქ. თბილისის მუნიიპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის ანგარიში;

2. ა(ა)იპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის" (ჩემი ადვოკატი) 2016 წლის ანგარიში;

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N9-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

5. 28 აპრილი

დღის წესრიგი - 1. სსიპ ქ. თბილისის 150-ე საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე (#06/3220; 06/3809).

6. 11 აპრილი

დღის წესრიგი - 1. ქ. თბილისში გარე აბრებზე ქართული ენის დაცვის საკითხი- კანონმდებლობა და პრაქტიკა მუნიციპალურ დონეზე.

7. 6 ივნისი

დღის წესრიგი - 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"; 2. სსიპ ქ. თბილისის 150-ე საჯარო სკოლისთვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

8. 26 ივნისი
დღის წესრიგი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

9. 25 ივლისი
დღის წესრიგი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"(04/8353;21.07.2017);

10. 15 აგვისტო
დღის წესრიგი - 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (№04/8993 11.08.2017)

11. 29 სექტემბერი
დღის წესრიგი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი" საორგანიზაციო ჯგუფის მოსმენა

**2014 - 20 სხდომა, 48 საკთხი**
**2015 - 36 სხდომა, 65 საკითხი**
**2016 - 18 სხდომა, 29 საკითხი**
**2017 - 11 სხდომა, 16 საკითხი**

**2014 წლის 25 ივლისიდან 2017 წლის 29 სექტემბერის ჩათვლით სულ ესწრებოდა 85 სხდომას, განიხილა 158 საკითხი.**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია

კომისიის წევრი, ია მაკასარაშვილი 2014 წლიდან დღემდე, დაესწრო და მონაწილეობა მიიღო კომისიის შემდეგ სხდომებში:

2014 წელი:

24.07.14 - სხდომის დღის წესრიგი:

- კომისიის მიერ ბოლო 1 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანალიზი. შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

- კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. შედეგი: კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ მიმართულებებს იმ დათქმით, რომ დოკუმენტი არ არის საბოლოო ვარიანტი და მასში ეტაპობრივად, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მუშაობის პროცესში გამოვლენილი სხვა აქტუალური საკითხები.

- ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის, „თბილისელების ადვოკატის", ვაკის რაიონის გამგეობის და „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ წარმოდგენილი პროექტების შესახებ. შედეგი: იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი პროექტებით არ ირღვევა მოქალაქეთა უფლებები და ზოგიერთ შემთხვევაში პროექტი ახდენს დადებით გავლენას მათზე, კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი პროექტები.

- კომისიის იმ წევრების განსაზღვრა, რომლებიც მიიღებენ ანაზღაურებას ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში მუშაობისათვის. შედეგი: ზურაბ ნეფარიძე და ლევან მხეიძე ანაზღაურებას მიიღებენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიისგან.

- კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა. შედეგი: სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზურაბ ნეფარიძის კანდიდატურას კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე.

04.08.14 - სხდომის დღის წესრიგი:

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის და გამგებლობის კანდიდატების წარდგენა და მათ დანიშნვაზე თანხმობის მიცემის საკითხის შეტანა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში. შედეგი: მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ა/წ 5 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში მთავრობის წევრთა დანიშვნაზე საკრებულოს თანხმობის მიღების თაობაზე საკითხის შეტანასთან დაკავშირებით;

კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, სახელდებისა და სიმბოლოკის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებთან ერთად.

02.10.14 - სხდომის დღის წესრიგი:

- თსსუ პროფესორის, ექიმი-ჰიგიენისტის და სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტის, მარინა გიორგობიანის განცხადების განხილვა (17.09.14, #12249) საქართველოს სანიტარული უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სამსახურის (სააგენტოს) შექმნასთან დაკავშირებით. სტუმრები: ნანა გაბრიაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; გიორგი სანიკიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; მარინა გიორგობიანი, ბიძინა ზურაშვილი, თეიმურაზ შენგელია, თეა ბაქრაძე - დარგის სპეციალისტები.

  კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად.

  შედეგი: კომისიამ მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ აუცილებელია სპეციალური ორგანოს არსებობა, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას წყლის, ნიადაგის და ა.შ. მაჩვენებლების ხარისხზე, უზრუნველყოფს მათ მუდმივ კონტროლს, განსაზღვრავს მათ ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ხელს შეუწყობს ნებისმიერი მოქალაქის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების განხორციელებას.

შედეგად, კომისიამ მიმართა თბილისის მერს დავით ნარმანიას მოცემული დღის წესრიგით, მაღალი დონის კონფერენციის ორგანიზების თხოვნით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც დარგის სპეციალისტები, ისე კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები

21.10.14 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. თბილისში არსებული, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ადგილმონაცვლეობის შესახებ. სტუმრები: ნიკა გვაზავა (ანალიტიკური საქართველოს მთავარი სპეციალისტი), ქრისტინე ვარდანაშვილი (ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი) - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; კახა ჩიქვინიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე; ავთანდილ სუდაძე (სამსახურის უფროსი), ირინა ჭეიშვილი (სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე)- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური; გიორგი სანიკიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე; ლევან ჯღარკავა - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის პირველი მოადგილე; გიორგი გარსევანიშვილი, დავით თუთბერიძე - სახალხო დამცველის აპარატი; გიორგი დარსაველიძე, ნიკოლოზ ინაშვილი - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები; მოსახლეობა.

კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და გარემოს დაცვის კომისიებთან ერთად.

შედეგი: იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, იცხოვრონ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში (საქართველოს კონსტიტუციის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რისი აშკარა ხელყოფის ფაქტებიც სახეზეა ნაგავსაყრელის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა მიმართ, დამტკიცდა განკარგულების პროექტი „ქ. თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ". მოგვიანებით, განკარგულება მიღებული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ და შესრულების მიზნით წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

განკარგულების საფუძველზე. მერიამ განახორციელა წინადადებათა პაკეტის პრეზენტაცია და დაიწყო განკარგულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

03.11.14 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქალთა და ბავშვთა უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. სტუმრები: ლია გიგაური - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; გიორგი სანიკიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე; ლელა ბაქრაძე - გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი; ბელა სარია - „თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის" დირექტორი; რუსუდან კერვალიშვილი - გენდერული სამართლიანობა; თამარ ბაგრატია - განვითარების კვლევის ცენტრი; რიტა ხიდირბეგიშვილი - ინტერნაციონალური საქართველო მშვიდობისა და გარემოს დაცვისათვის; მაია კუპრავა-შარვაშიძე - გენდერული თანასწორობის ქსელი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი; მანანა მებუკე - გენდერული თანასწორობის ქსელი; ნანა გოჩიაშვილი, ქეთი ბახტაძე - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის; თამრიკო მაჭარაშვილი - ქალი და რეალობა; რუსუდან ფხაკაძე - ქალთა საკონსულტაციო ცენტრი; სოფია ბერია - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა".

  შედეგი: კომისიამ მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება. ცენტრის არსებობა უზრუნველყოფს, თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრას, არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციაში ეფექტური ღონისძიებების გატარებას, საზოგადოების ჩართულობის გაზრდასა და სხვ.

  შედეგად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაიგზავნა თხოვნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ან ააიპ-ის) „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო ცენტრი" -ს შექმნის თხოვნით.

10.11.14 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. თბილისის მთავრობის წინადადებათა პაკეტის პრეზენტაცია ქ. თბილისში დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული

ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით. სტუმრები: გიორგი სოლომონია - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; ავთანდილ ხარატი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საკრებულოში; მამუკა ჩოქური - სამგორის რაიონის გამგებელი; ლევან ჯღარკავა - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის პირველი მოადგილე; ნინო ჩხობაძე, სოფიო ქარჩხაძე - „მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები"; მოქალაქეები.

შედეგი: ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

- ე.წ. „უსახლკაროთა თავშესაფრის" პრეზენტაცია. სტუმრები: გიორგი სოლომონია - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; გიორგი სანიკიძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე; მოქალაქეები.

  შედეგი: ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

  კომისიის სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე, წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და გარემოს დაცვის კომისიებთან ერთად.

22.11.14 - სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა. შედეგი: ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებზე მომზადებული დასკვნა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნის მიზნით, წარედგინა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიას.

   კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის, სახელდებისა და სიმბოლიკის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებთან ერთად.

16.12.14 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო ცენტრი. სტუმრები: გიორგი სანიკიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

  შედეგი: კომისიამ განმეორებითი თხოვნით მიმართა თბილისის მერს, დავით ნარმანიას „ქალთა და ბავშვთა საკოორდინაციო ცენტრთან" დაკავშირებით, მერიის და საკრებულოს წარმომადგენლების მონაწილეობით მუშა ჯგუფის შექმნის და წინადადებათა პაკეტის შემუშავების მიზნით.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მიმართულებით. სტუმრები: გიორგი სანიკიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

  შედეგი: ახლო მომავალში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური საკრებულოში მოაწყობს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების შესახებ არსებული პროექტების დეტალურ პრეზენტაციას, მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად ინფორმირების მიზნით.

18.12. 14 - სხდომის დღის წესრიგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. შედეგი: კომისიამ მიზნაშეწონილად მიიჩნია ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის, სახელდებისა და სიმბოლიკის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებთან ერთად.

2015 წელი:

15.01.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ.

- ზურაბ ბრაგვაძის (25.11.14, #17649) და ლალი მაისურაძის (22.12.14, #19540) განცხადებების განხილვა მათი უფლებების დარღვევის შესახებ, საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობების გამო.

12.02.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- სამედიცინო ცენტრი შპს „ლანცეტი"-ს განცხადების განხილვა, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ.

19.02.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერით ორგანიზებული ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში შშმ პირთა უფლებების დაცვის გარანტიების გათვალისწინების შესახებ:

- ასოციაცია „მომავლის იმედი"-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მოსმენა საქართველოდან უცხო ქვეყნებში ჩვილი ბავშვების უკანონო გასხვისებასთან დაკავშირებით:

16.03.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტების განხილვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის), მერის მოადგილის, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის და ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ (12.03.15, #04/4676).

26.03.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- მოქალაქე გიორგი ქელდიშვილის ა/წ 10 მარტის #4446 განცხადების განხილვა მისი საკუთრების უფლების ხელყოფის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში შრომით დავებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების განხილვა და ანალიზი:
- ინფორმაციის მოსმენა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილებაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით:
- ინფორმაციის მოსმენა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესთან დაკავშირებით.

23.04.15 - სხდომის დღის წესრიგი:

შპს „თამ-ენერჯის" თანამშრომლების კოლექტიური განცხადების (№1227) განხილვა, კომპანიაში არსებული ვითარებისა და დასაქმებულთა მიმართ დაგროვილი სახელფასო დავალიანების შესახებ.

30.04.15 - სხდომის დღის წესრიგი:

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონება, სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის არმქონე ფაქტობრივი მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის.

28.05.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- დაუკანონებელ მიწის ნაკვეთებზე უნებართვოდ აშენებულ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული დავები ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეებს შორის.
- ინფორმაციის მოსმენა კომისიის მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

04.06.15 - სხდომის დღის წესრიგი:

ჯავახეთის ქ. №66-ში მცხოვრები მოქალაქეების კოლექტიური განცხადების (№9314) განხილვა, მათი საცხოვრებელი ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გასხვისებული სკვერის თაობაზე.

25.06.2015 - სხდომის დღის წესრიგი:

- მოქალაქე (არასრულწლოვანი) ნოდარ ბერიაშვილის განცხადების (№11009) განხილვა, მემკვიდრეობით მიღებული საკრედიტო ვალდებულებების შესახებ.
- ინფორმაციის მოსმენა 2015 წლის 23 აპრილის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომის (ოქმი №6) გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

05.07.15 - სხდომის დღის წესრიგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

27.07.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის" დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი 21.07.15, №04/13597).
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ექვსი თვის ანგარიშის მოსმენა.

30.07.15 - სხდომის დღის წესრიგი:

ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების განცხადების (№13021) განხილვა, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების „საპროექტო ჩარჩო გეგმასთან" დაკავშირებული დავის შესახებ.

24.08.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის 6 თვის ანგარიში.
- კომისიის მიმდინარე და სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტები.

04.09.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (04/15903).

15.10.15 - სხდომის დღის წესრიგი:

- 2015 წლის 13 -14 ივნისს, თბილისში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა

20.10.15 - სხდომის დღის წესრიგი:

„ქ.თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის #156 განკარგულებიდან გამომდინარე, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

19.11.15 - სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნოდარ ჭიჭინაძის, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნინო სულხანიშვილსა და ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა.

26.11.15 -სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი (18.11.15, # 04/20927).

10.12.15 - სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების განხილვა:

   1.1. თენგიზ მიქაძის 02.12.15, # 01/21783; 15.10.15, #18679; 24.07.15, #13912 და 10.09.15, #16352 განცხადებები;

   1.2. ლია ორველაშვილის 27.08.2015, #14923 განცხადება.

2. ინფორმაციის მოსმენა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ მომზადებული შუალედური ანგარიშის შესახებ და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით,

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე კომისიის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტის ინიცირების საკითხის გადაწყვეტა.

25.12.15- სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის # 3-5 დადგენილებაში „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

28.12.15 - სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა.

2016 წელი:

26.01. 16 - სხდომის დღის წესრიგი:

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინფორმაციის მოსმენა თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ:

- 14.00 საათი - ინფორმაციის მოსმენა მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან;

- 15.00 საათი - ინფორმაციის მოსმენა ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან.

28.01.16 - სხდომის დღის წესრიგი:

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინფორმაციის მოსმენა საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ.

18.02.16 - სხდომის დღის წესრიგი:

1. მოქალაქე მარინე დემურიშვილის განცხადებების განხილვა (14.12.15 - #22536 და # 22537; 12.01.16 - # 422).

2. 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #1740 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2016 წლის სამოქმედო გეგმა" ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.

26.02.16

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/3283).

22.03.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის (14.01.16, №06/699) განხილვა.

29.03.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- მოქალაქე ეკა გულუას განცხადების (5496/ 22.03.16) განხილვა სარაჯიშვილის ქ. №1-ის მიმდებარედ მშენებარე 24 სართულიანი შენობის კოეფიციენტისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის თაობაზე.

05.04.16 - სხდომის დღის წესრიგი:

* ორხევის დასახლება, ჩანტლაძის 4/2, ყოფილი ავტობაზა „ტურისტის" შენობაში მცხოვრები დევნილი და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადების (6190/31.03.16) განხილვა.

13.05. 16 - სხდომის დღის წესრიგი:

* ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის #17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8669).

20.05. 16 - სხდომის დღის წესრიგი:

1. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების პრეზენტაცია.

22.06.16 - სხდომის დღის წესრიგი:

* ინფორმაციის მოსმენა ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქ. №4/2-ში მდებარე, ავტობაზა ტურისტის შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) და შენობაში მცხოვრები მოსახლეობის განსახლების შესახებ (შენობაში მცხოვრები მოსახლეობის განცხადება №6190).

  შედეგი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადებით, აგვისტოს თვეში მოხდება შენობაში მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლება.

  არადევნილ მოქალაქეებთან დაკავშირებით, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს" წარმომადგენელთან, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ კომისია განმეორებით მიმართავს სააგენტოს, რის საფუძველზეც, დაიწყება მაცხოვრებლების ინდივიდუალური შესწავლა მათი შემდგომი განსახლების მიზნით.

  * დადგენილების პროექტი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა).

შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

28.06.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემის შესახებ (მათ შორის: ნასაგურის წმინდა გიორგის ეკლესიის მაგალითზე).

შედეგი: შეიკრიბოს სამუშაო ჯგუფი შემდეგი უწყებების შემადგენლობით:

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილება.
3. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო".
4. მერიის ქონების მართვის სააგენტო.
5. საქართველოს საპატრიარქო.
6. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სხდომაზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი შეიკრიბა ორჯერ (29-30 ივნისს). საბოლოოდ მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ საპატრიარქო, თითოეული ეკლესიის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ინდივიდუალურად მიმართავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს ან მერიის ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო იმ ეკლესიებთან მიმართებაში კი, რომლებიც არ დაექვემდებარებიან მსგავსი წესით რეგისტრაციას, შესაბამისი უწყებები იმსჯელებენ დამატებით.

სხდომაზე და სამუშაო შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა ნასაგურის წმ.გიორგის სახელობის

ეკლესიის რეგისტრაცია. დაიწყო პროცედურები ეკლესიის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხზე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

მოცემული გადაწყვეტილებით, შეიქმნა პრეცენდენტი მსგავს სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფი ეკლესიების პრობლემის მოგვარების მიმართულებით.

01.07.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა:

  - „უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის" საქმიანობის შესახებ;

  - ააიპ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფარის" ფუნქციონირების და ზოგადი საცხოვრებელი პირობების შესახებ;

  - სხვა სახის ინფორმაცია უსახლკაროთა უფლებების დაცვის მიმართულებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის შესახებ.

შედეგი:

- კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ანგარიში.
- მიღებული იქნა გადაწყვეტილება ააიპ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფარის" მონახულების შესახებ.
- მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საბინაო პრობლმებზე მერიის ქონების მართვის სააგენტოს ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებით.

- დალი მაზმიშვილის წიგნის - „იმედით მლეული უიმედობა" დაფინანსებასთან დაკავშირებით, კომისიის რეკომენდაციის გაცემაზე თანხმობის საკითხის განხილვა (28.06.16, #11908).

  შედეგი: დალი მაზმიშვილის წიგნის - „იმედით მლეული უიმედობა" დაფინანსებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის რეკომენდაცია გადაეგზავნა ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრს~. რეკომენდაციის საფუძველზე, ცენტრის თანადაფინანსებით დაიბეჭდა

წიგნი, ხოლო მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია.

07.07.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქიზიყის ქუჩა #33-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათში კანონიერი უფლების გარეშე მცხოვრებ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.
  შედეგი: ქონების განკარგვის კომისიის სხდომის მოწვევა/ჩატარების თხოვნით კომისიის შუამდგომლობა ორჯერ გადაეგზავნა საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

- 2016 წლის განმავლობაში ქიზიყის ქუჩაზე დაგეგმილი/დასაგეგმი ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების) შესახებ.

  შედეგი: კომისიამ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან" გამოითხოვა ინფორმაცია, თუ არა სახის სამუშაოები უნდა განახორციელოს კომპანიამ ქიზიყის ქუჩაზე და რა ვადაში დასრულდება აღნიშნული სამუშაოები. დღეის მდგომარეობით, გზის მოცემული მონაკვეთი დასრულებულია და გზა კაპიტალურად არის დაგებული.

14.07.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის 6 თვის ანგარიშის მოსმენა.

  შედეგი: კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა კომისიის საქმიანობის პრიორიტეტების შესახებ.

  შედეგი: კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, მათ მიერ დასმულ პრობლემურ საკითხებზე დაიგეგმება კომისიის მომდევნო სხდომები.

- ინფორმაციის მოსმენა მოქალაქე მარინე ქოჩლაძის განცხადებასთან (01.07.16, 12249) დაკავშირებით, 14 ივლისს, 14.00 საათზე, კომისიის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა მერიის სამსახურებიდან, საკითხის უკეთ შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით. აქვე, სხდომამდე, კომისიის თავმჯდომარე, ადგილზე გაეცნო ვითარებას და ნაძალადევის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, მოინახულა ტერიტორია, რომლის შესახებაც საუბარი იყო განცხადებაში.

28.07.16 - სხდომის დღის წესრიგი:

თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია.

შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

02.08.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (04/14139 29.07.16 წ.).

  შედეგი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№04/14139 29.07.2016) პროექტთან დაკავშირებით.

22.09.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- ორგანიზაცია „უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის“ 15.09.16 #07/16618 განცხადების განხილვა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ იმსჯელა განცხადებაში მითითებულ გარემოებებზე და მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ საკითხზე კომისია იმსჯელებს დამატებით, გამგეობების წარმომადგენლებთან ერთად.

- ა.ა.ი.პ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ 15.09.16 #07/16568 განცხადების განხილვა 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგის პროექტთან დაკავშირებით.

  შედეგი: კომისიამ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, ინიციატივა გადაუგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“.

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 2016 წლის 21 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირებული პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ დადგენილების პროექტის დაჩქარების მიზნით, განმეორებითი წერილობითი თხოვნა გადაუგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

13.10.16 - სხდომის დღის წესრიგი:

ა.ა.ი.პ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ 15.09.16 #07/16568 განცხადების განხილვა 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგის პროექტთან დაკავშირებით.

შედეგი: ინიციატივა შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

20.10.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- შპს „დაგი"-ს მიერ თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

  შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

08.11.16 - სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა (04.11.16, #04/18754).

შედეგი: კომისიის დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04.11.16, #04/18754) პროექტთან დაკავშირებით გადაეგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

10.11.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- ინფორმაციის მოსმენა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის" ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ".

  შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

- მოსკოვის გამზირი #25ა-ში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების საკითხის განხილვა.

  შედეგი: მოსკოვის გამზირი #25ა-ში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების საკითხთან დაკავშირებით,

კომისიის შუამდგომლობა გადაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

- 2002 წლის 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის, მზია ნადირაშვილის განცხადებების განხილვა (28.10.16, #18486,18488).

  შედეგი: კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

18.11.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (15.11.16, #04/19055).

  შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის შენიშვნები გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს.

22.11.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- მოქალაქე მზია ნადირაშვილის განცხადებების განხილვა (28.10.16 - #18486, 18488, 04.11.16 -18756).

  შედეგი: თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიამ მიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, „2002 წლის 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდთან" დაკავშირებით და რეკომენდაციის სახით დააყენა საკითხი ფონდის გამგეობის ცვლილებისა და ფონდის საქმიანობის განახლების თაობაზე.

  კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოითხოვა ინფორმაცია, „2002 წლის 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

კომისიამ თხოვნით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ დავით ნარმანიას საცხოვრებელი ბინის დაკარგვის საფრთხის ქვეშ მყოფი პირის ქალბატონ მზია ნადირაშვილის დაცვის მექანიზმების ამოქმედების თაობაზე.

კომისიამ მოქალაქე მზია ნადირაშვილის გამოსახლების საკითხის შეჩერების თხოვნით მიმართა საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

15.12.16 - სხდომის დღის წესრიგი:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (09.12.16, #04/20047).

  შედეგი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დასკვნა „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (09.12.16, #04/20047).

2017 წელი:

26.01.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- საქართველოს მთავრობის #1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის" ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ (საფუძველი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 03.01.16 #06/21 წერილი). 2. სხვადასხვა.

03.02.17 - სხდომის დღის წესრიგი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (24.01.17, # 04/1082) განხილვა.

კომისიამ პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე მოამზადა დასკვნა და მიაწოდა მოსაზრება რიგი საკითხების განსხვავებულად დარეგულირების შესახებ.

24.02.17- სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (21.02.17; #04/2339).

  სხდომის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე.

28.02.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიშის მოსმენა: I. ინფორმაცია შპს „დაგი"-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ; II. ინფორმაცია შპს „ტრიჯიტი"-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შესახებ.

  კომისიამ მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფისა და კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით, მოისმინა ზ/ა კომპანიების მორიგი ანგარიში ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

28.04.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა 2017 წლის 1 იანვრიდან 25 აპრილის ჩათვლით.

- კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა.

  კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი მიიღეს ცნობად, ხოლო მეორე საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები განცხადებებში დასმული პრობლემის გადაჭრის მიმართულებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზ/ა განცხადებებთან დაკავშირებით, დაიგეგმა და 22 მაისს შედგა 2 სამუშაო შეხვედრა. ერთ-ერთი შეხვედრის საფუძველზე, მიღწეული იქნა შეთანხმება, ისანში, ბერი გაბრიელ სალოსის №161-ში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისათვის შესაბამისი პროცედურების დაწყების შესახებ (გამგეობამ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სპეციალური ლიფტის მოწყობის მიზნით).

23.05.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- ააიპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის" ანგარიშის მოსმენა.

  ცნობად იქნა მიღებული ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

12.06.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიშის მოსმენა: I. ინფორმაცია შპს „დაგი"-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ; II. ინფორმაცია შპს „ტრიჯიტი"-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შესახებ.

  ეთხოვათ შპს „თბილსერვის ჯგუფსა" და კომპანიას „დაგი" ახალი გეგმა გრაფიკის წარმოდგენა (თბილსერვის ჯგუფმა შეცვლილი გრაფიკი კომისიას წარმოუდგინა 26 ივნისს).

06.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციასთან და შემდგომ კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემასთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა

13.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა, უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ

20.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში თბილისის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის ობიექტების ამოქმედების მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა

25.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (21.07.2017; 04/8353)

17.08.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- შპს ,,კა დე ვე ჯორჯიას" ანგარიში ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანასთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ;
- თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია.

28.09.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციასთან და შემდგომ კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემასთან დაკავშირებით განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- თბილისის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის ობიექტების ამოქმედების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ